TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

# თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
# სამართლის ფაკულტეტის სხდომის

## ოქმი № 15/ 2017

14 ნოემბერი 2017 წ.

თბილისი

სხდომის დაწყების დრო: 18. 00
სხდომის დასრულების დრო: 18.25

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფ. კახი ყურაშვლი;
2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი;
3. პროფ. არჩილ ლორია;
4. პროფ. ლელა ნადიბაიძე;
5. პროფ. მაკა სალხინაშვილი;
6. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე;
7. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე;
8. ასოც. პროფ. ბექა ქანთარია;
9. უფრ. მასწ. ლალი ფაფიაშვილი;
10. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე;
11. უფრ. მასწ. მაია კოპალეიშვილ;ი;
12. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე;
13. სტუდენტი: ალექსანდრე კუჭავა;
14. სტუდენტი: იაგო შაკაია;
15. სტუდენტი: გიორგი ჩინჩალაძე.

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ე. ირემაძე

დღის წესრიგი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის **სუბჰან მურადოვის** (პასპორტი AZE 16749540) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის თაობაზე (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი).

მოისმინეს:

სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 ოქტომბრის № 912 ბრძანების საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით თჰუ სამართლის ფაკულტეტზე სწავლის უფლება მიეცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს **სუბჰან მურადოვს** (პასპორტი AZE 16749540), რომელმაც 2017 წელს დაამთავრა ქ. ბაქოს მუშფიგ და მეჰმან მაჰარამის ძის ნათიევის მეგობრობის სახელობის **№ 51** სრული საშუალო სკოლა. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პირადი განცხადების საფუძველზე მიზანშეწონილია

იგი ჩაირიცხოს თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, თუ ჩააბარებს სწავლების ენაში გამოცდას ან სხვაგვარად დაადასტურებს სწავლების ენის ფლობას.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. ჩიტოშვილმა და სტუდენტმა ი. შაკაიამ, აგრეთვე პროფ. კ. ყურაშვილმა და უფრ. მასწავლებელმა ნ. ნიჟარაძემ, რომლებმაც უარი განაცხადეს გადაწყვეტილების მხარდაჭერაზე.

კენჭისყრის შედეგები: დაეთანხმა 11 წევრი, წინააღმდეგი 4.

გადაწყვიტეს:

1. ჩაირიცხოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე **სუბჰან მურადოვი** (პასპორტი AZE 16749540) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად 0 კრედიტის აღიარებით სწავლების ენის ფლობის წინასწარი დადასტურების პირობით;
2. **სუბჰან მურადოვს** გაუფორმდეს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება ბრძანების გამოცემიდან 7 დღის ვადაში.
3. უზრუნველყოს თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა ამ სტუდენტის ჩარიცხვის შემდეგ სწავლების ენაში მისი გამოცდის ორგანიზება საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში; გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი 1 სემესტრის მანძილზე, სწავლების ენის ინტენსიური კურსის (60 კრედიტი) გავლის შესაძლებლობის მიცემის მიზნით;
4. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
5. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ–გვერდზე.

თავმჯდომარე : კ. ყურაშვილი

მდივანი: ე. ირემაძე

TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY
206046045